



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

„არასამეწარმეო იურიდიული პირი“.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისბარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი

მისამართი: წალენჯიხა, 5200, გამსახურდიას ქ.№-9; ფაქსი 823 15 12 01
ტელ: 591-05-61-61 საიდენტიფიკაციო კოდი 242738739

წალენჯიხა N 55

10.10.2019 წელი


წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის,
კულტურის , განათლების, ძეგლთა დაცვის,
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს
ბატონ კ. კვარაცხელიას

ბატონო კორნელ,

თქვენი მომართვა, 2019 წლის 9 ოქტომბრის N 28 მომართვის პასუხად წარმოგიდგენთ 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე სასპორტო ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს

დანართი: 6 გვერდზე

სასპორტო ცენტრის დირექტორი:

 /რ.ჭანია/

სასპორტო ცენტრში მუშაობა მიმდინარეობს წესდებისა და შინაგანაწესის მიხედვით, 2018 წელს სასპორტო ცენტრს ჰყავდა 48 თანამშრომელი, სპორტული წრეების რაოდენობა იყო 20, 2019 წელს თანამშრომელთა რაოდენობაა 50, ხოლო წრეების რაოდენობა არის 21.

სასპორტო ცენტრის სპორტულ წრეებში მუშაობა მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი გეგმა გრაფიკის მიხედვით. სპორტული წრეები დაკომპლექტებულია ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებით და მათი რაოდენობა 2019 წელს არის 352 მოსწავლე. მეცადინეობა მომდინარეობს გაკვეთილების შემდეგ. წრეების ხელმძღვანელებად დანიშნულია გამოცდილი სპეციალისტები.

სასპორტო ცენტრში გახსნილია მძლეოსნობის, კრივის, ჭიდაობის, კარატეს, კალათბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის, ტაეკვანდოს და რაგბის წრეები. სპორტულ წრეებში გაერთიანებული მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო, რესპუბლიკურ და რეგიონალურ ტურნირებში, სადაც გარკვეულ წარმატებებს აღწევენ (მიღწეული წარმატებების ნუსხა თან ერთვის)

2018 წელს გამოყოფილი დაფინანსება მთლიანად იქნა ათვისებული და გასტუმრებული არის ყველა სახის ხარჯები.

2019 წლის დაფინანსება არის 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი, წლის ბოლომდე შეიძლება დაგვაკლდეს 5000(ხუთი ათასი) ლარი.

(Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page)

2019 წლის საპორტული მიღწევები

წალენჯიხის სასპორტო ცენტრის ჭიდაობის ჯვარის და წალენჯიხის გუნდებმა 4-6 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღეს ქ. ქუთაისში საერთაშორისო ტურნირში, დარსალია ლუკამ 57კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი და მურად დოხტურაშვილის მთავარი პრიზი გადაეცა, ნიკოლოზ კვარაცხელიამ 35კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა. მწვრთნელები: ლუსო და ბადრი კვარაცხელიები

წალენჯიხის სასპორტო ცენტრის კრივის გუნდი 4-6 ოქტომბერს მონაწილეობდა ქ. მესტიაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ალიოშა ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრივის მესამე საერთაშორისო ტურნირში, რაჯა არზიანმა 40 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა, გიორგი ფიფიამ 48 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი. მწვრთნელი ალექსანდრე ქარაია

წალენჯიხის სასპორტო ცენტრის კრივის გუნდი 26-29 სექტემბერს მონაწილეობდა ქ. დუშეთში ვაჟა შაველას სახ. კრივის ღია ტურნირში, 57 კგ წონით კატეგორიაში ხვიჩავა პაატამ დაიკავა პირველი ადგილი.

მწვრთნელი ალექსანდრე ქარაია

წალენჯიხის სასპორტო ცენტრის კრივის გუნდი 4-7 ივლისს მონაწილეობდა ქ. სენაკში კახაბერ ჟვანიას სახელობის კრივის ღია ტურნირში, 46 კგ წონით კატეგორიაში გიორგი ფიფიამ დაიკავა მესამე ადგილი.

მწვრთნელი ალექსანდრე ქარაია

წალენჯიხის სასპორტო ცენტრის კარატეს გუნდი 2019 წლის 14-16 ივნისს მონაწილეობდა ქ. თბილისში კარატეს საერთაშორისო ტურნირში, ლიზი ლურჯვაიამ დაიკავა პირველი ადგილი.

მწვრთნელი ემზარ სოსელია.

წალენჯიხის სასპორტო ცენტრის მძლეოსნობის გუნდი 2019 წლის 14-15 ივნისს მონაწილეობას იღებდა ქ. თბილისში საქართველოს ღია ეროვნულ ჩემპიონატში, გუნდის წევრებმა:

1. ჩანგელია ზაზა ბადრო 28მ.45სმ მესამე თანრიგი
2. ასკურავა მარიამი ბადრო 18მ. 25 სმ.
3. სამუშია მიხეილი 100მ. შედეგი 13.48 მესამე თანრიგი
4. მებონია გიორგი სიგრძეზე ხტომა 4.85. მესამე თანრიგი.
5. სამუშია დემეტრე სიგრძეზე ხტომა 4,05
6. ციმინტია შოთა 800მ. 3,05.

წალენჯიხის სასპორტო ცენტრის ჭიდაობის გუნდი 2019 წლის 7-9 ივნისს მონაწილეობდა ქ. ქობულეთში ევროპის ვიცე ჩემპიონის კობა კაკალაძის ღია რესპუბლიკურ ტურნირში თავისუფალ ჭიდაობაში, ავთო შონიამ 2005-2007წწ დაბადებულ ჭაბუკთა შორის დაიკავა მესამე ადგილი.

მწვრთნელი : პაატა ჯინჯოლავა

წალენჯიხის სასპორტო ცენტრის კრივის გუნდი 5-9 ივნისს იმყოფებოდა ქ. ფოთის ტურნირში და ფიფია გიორგიმ 2006 წლიანებში 46 კგ წონით კატეგორიაში დაიკავა მესამე ადგილი

წალენჯიხის სასპორტო ცენტრის ჭიდაობის გუნდი 31 მაისს და 1-2 ივნისს იმყოფებოდა ქ. ბაღდათში ავთანდილ გურგენიძის დაბადებიდან 65 წლის და მწვრთნელად მოღვაწეობის 45 წლის საიუბილეო ტურნირში თავისუფალ ჭიდაობაში.

1. ლუკა მებონიამ 35კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა II ადგილი
2. არსენა კვარაცხელია 35კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა III ადგილი

მწვრთნელი: ლუსო კვარაცხელია

2019 წლის 15 ივნისს წალენჯიხის სასპორტო ცენტრის „ტაიკვანდო- დო,, -ს გუნდი მონაწილეობას იღებდა ქ. მარტვილში „ტაიკვანდო-დო,, -ს ტურნირში. შეჯიბრება ჩატარდა 17 წლამდე სპორტსმენთა შორის. სასპორტო ცენტრის მოსწავლეების შედეგები:

1. მიქავა ნიკოლოზი --- მასოგი 35კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი.
2. ბელქანია გიორგი--მასოგი 50 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი.
3. ქარაია ქეთი--მასოგი 40-45 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი.
4. მიქავა საბა --მასოგი 35 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი.
5. მიქავა შალვა---მასოგი 70 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი.
6. ფიფია ზაალი-- მასოგი 40 45 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი.
7. ფაცაცია გიგი---მასოგი 35 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი.
8. ბელქანია ილონა ---მასოგი 25 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი.
9. ქარაია გიორგი---მასოგი 35 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი.

მწვრთნელი ზაალ მიქავა

სასპორტო ცენტრის კარატეს გუნდი 2019 წლის 24,25,26 მაისს იმყოფებოდა ქ. თბილისში სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონატში კიკბოქსინგში.

1. დიმიტრი კვარაცხელიამ დაიკავა პირველი ადგილი.
2. პაატა ხვიჩავამ დაიკავა მესამე ადგილი

მწვრთნელი ჯაბა ხარჩილავა

2019 წლის 12 მაისს ქ. ოდესაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი გოჯირიუ კარატეში, წალენჯიხის სასპორტო ცენტრის მოსწავლემ დიმა ჩანგელიამ 14-15 წლ. – 63 კგ წონით კატეგორიაში დაიკავა მეორე ადგილი დაიკავა. მწვრთნელი მამუკა ტორუა.

2019 წლის 8 –10 მაისს შვეიცარიაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კინბოქსინგში, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ სასპორტო ცენტრის სპორტსმენები, ჩვენმა წარმომადგენელმა ნოდარ ცხოვრებაძემ შპარა უპირატესობით დაამარცხა v d c მსოფლიო ქამრის მფლობელი და გახდა ჩემპიონი, მწვრთნელი ლაშა შელია.

2019 წლის 13-15 მაისს სასპორტო ცენტრის ქ.ჯვარის ჭიდაობის გუნდი მონაწილეობდა ქ. ჩოხატაურში საერთაშორისო ტურნირში თავისუფალ ჭიდაობაში, გუნდის წევრებმა დაიკავეს:

1. გუჯეჯიანი ლუკა 62 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი.
2. პერტაია ირაკლი 62 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი.
3. შონია ავთო 23 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი

2019 წლის 11 მაისს ჯვარზენის სტადიონზე ჩატარდა სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონალური ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

წალენჯიხის სასპორტო ცენტრის მძლეოსნობის გუნდის წევრებმა:

1. ქარდავა სანდრა 100მ შედეგი 14.56 პირველი ადგილი
2. ჩანგელია ზაზა ბადრო 33.30 პირველი ადგილი
3. სამუშია მიხეილ 200 მ 27.70 მეორე ადგილი
4. ჯინჯოლავა ანი სამაგიდო ხტომა 7.70 მეორე ადგილი
5. მეზონია გიორგი სამაგიდო ხტომა 10,40 მეორე ადგილი
6. ჯინჯოლავა ანი სიგრძეზე ხტომა 3.47 მეორე ადგილი
7. ქარდავა ლიზი ბადრო 13.60 მეორე ადგილი
8. ქარდავა ლიზი ბირთვი 7.36 მეორე ადგილი
9. ასკურავა მარიამი ბადრო 12,30 მესამე ადგილი
10. ჭელიძე ნანო სიგრძე 2,85 მესამე ადგილი

წალენჯიხის სასპორტო ცენტრმა გუნდური მესამე ადგილი დაიკავა, მწვრთნელი ლია ხუბულავა.

2019 წლის 6 მაისს ჩატარდა „ მსოფლიო რბენის,, დღე ამ რბენაში წალენჯიხის სასპორტო ცენტრის კალათბურთის მწვრთნელმა ნანა ღვინჯილიამ დაიკავა მესამე ადგილი.

კის ღია ჩემპიონატი „ტაიკვან-დო,,-ში. წალენჯიხის სასპორტო გუნდის წევრებმა:

2019 წლის 4 მაისს ქ.სენაკში ჩატარდა სენაკის ღია ჩემპიონატი „ტაიკვან-დო,,- ში. წალენჯიხის სასპორტო გუნდის წევრებმა:

1. დავით ბელქანია პირველი ადგილი 50 კგ წონით კატეგორიაში(თულში-ტექნიკაში მეორე

ადგილი)

2. ქეთი ქარაია პირველი ადგილი 40 კგ წონით კატეგორიაში.
3. ილონა ბელქანია პირველი ადგილი 25-30 კგ წონით კატეგორიაში.
4. ზაალ ფიფია მეორე ადგილი 50 კგ წონით კატეგორიაში.
5. გაბრიელ ფიფია მეორე ადგილი 65 კგ წონით კატეგორიაში.
6. გიგი ფაცაცია მეორე ადგილი 30 კგ წონით კატეგორიაში.
7. საბა მიქავა მეორე ადგილი.

მწვრთნელი ზაალ მიქავა

2019 წლის 4-6 მაისს სასპორტო ცენტრის ქ.ჯვარის და წალენჯიხის ჭიდაობის გუნდები მონაწილეობას იღებდნენ ქ.ქუთაისში ირაკლი წოწონავას ხსოვნისადმი მიძღვნილ VII რესპუბლიკურ ტურნირში ჭიდაობაში. წალენჯიხის გუნდის წევრებმა:

1. ლუკა მეზონია პირველი ადგილი 35 კგ წონით კატეგორიაში.
2. ლუკა დარსალია პირველი ადგილი 48 კგ წონით კატეგორიაში.
3. არსენა კვარაცხელია მესამე ადგილი 35 კგ წონით კატეგორიაში.
4. ნიკოლოზ კვარაცხელია მეოთხე ადგილი 32 კგ წონით კატეგორიაში

მწვრთნელები: პაატა და მინდია ჯინჯოლავები

ბადრი და ლუსო კვარაცხელიები

2019 წლის 23-24 მარტს კარატეს გუნდი მონაწილეობდა ქ. თბილისში საერთაშორისო ტურნირში კარატეში –ნასტია ფრუიძემ დაიკავა პირველი ადგილი, თათია ბუთბაიამ მესამე ადგილი, მწვრთნელი ემზარ სოსელია

2019 წლის 22-24 მარტს ქ. ხაშურში სასპორტო ცენტრის ჭიდაობის გუნდი მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატში თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის

2019 წლის 8-10 მარტს ქ. ჩოხატაურში სასპორტო ცენტრის წალენჯიხის და ჯვარის ჭიდაობის გუნდები მონაწილეობდა საქართველოს მერვე რესპუბლიკურ ჩემპიონატში თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის წალენჯიხის გუნდის წევრებმა არსენა კვარაცხელიამ 35 კგ წონით კატეგორიაში დაიკავა პირველი ადგილი, ლუკა მეზონიამ 35 კგ წონით კატეგორიაში – მესამე ადგილი, ლუკა დარსალიამ 55 კგ წონით კატეგორიაში – მესამე ადგილი. ჯვარის გუნდის წევრებმა ავთო შონიამ 23 კგ წონით კატეგორიაში – მეორე ადგილი, ირაკლი პერტაია 57 მკგ წონით კატეგორიაში და ვახო კვარაცხელიამ 55 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი, მწვრთნელები ბადრი და ლუსო კვარაცხელიები, პაატა და მინდია ჯინჯოლავები

2019 წლის 1-3 მარტს ქ. თბილისის მძლეოსნობის ღია პირველობაზე წალენჯიხის სასპორტო გუნდის წევრმა ზაზა ჩანგელიამ ბადროს ტყორცნაში შედეგით 24,23 (1კგ 500გრ) მესამე ადგილი დაიკავა, მწვრთნელი ლია ხუბულავა.

2019 წლის 23-24 თებერვალს ქ. ხარკოვში ჩატარდა პრემიუმ ლიგის ტურნირი კარატეში, სასპორტო ცენტრის მწვრთნელმა ემზარ სოსელიამ აიღო სერთიფიკატი, კარატეს გუნდის წევრმა ლუკა გობეჩიამ 39 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა, მწვრთნელი ემზარ სოსელია

2019 წლის 13-17 თებერვალს საპორტო ცენტრის კრივის გუნდი მონაწილეობას იღებდა ქ. მარნეულში საქართველოს ჩემპიონატში კრივში

2019 წლის 8-10 თებერვალს მძლეოსნობის გუნდი მონაწილეობდა ქ. თბილისში საქართველოს დია ეროვნული ჩემპიონატში

2019 წლის 8 თებერვალს ქ. წალენჯიხაში გაიმართა ჭიდაობის მწვრთნელის ელგუჯა კვარაცხელიას სახ. ტურნირი, მონაწილეობდნენ წალენჯიხის, ჯვარის, რუხის ზუგდიდის 2 გუნდი, გუნდური პირველი ადგილი დაიკავა წალენჯიხის გუნდმა, 52 კგ წონით კატეგორიაში ლუკა დარსანიამ პირველი ადგილი და ირაკლი შანავამ მეორე ადგილი დაიკავეს, 47 კგ. წონით კატეგორიაში მათე კვარაცხელია- პირველი ადგილი, ოთო კვარაცხელია- მეორე ადგილი, 42 კგ წონით კატეგორიაში ლუკა ჯანაჯარია მესამე ადგილი, 38 კგ წონით კატეგორიაში არსენა კვარაცხელია პირველი ადგილი, 36 კგ წონით კატეგორიაში ლუკა მეზონია პირველი ადგილი, გიორგი მიქაია მეორე ადგილი, 35 კგ წონით კატეგორიაში ნიკოლოზ კვარაცხელია პირველი ადგილი, ლუკა წურწუმია მესამე ადგილი, 33 კგ წონით კატეგორიაში საბა არახამია მეორე ადგილი, 29 კგ წონით კატეგორიაში თორნიკე მოლაშხია პირველი ადგილი, 26 კგ წონით კატეგორიაში გიორგი გულუა პირველი ადგილი, გიორგი ხარჩილავა მესამე ადგილი, 20 კგ წონით კატეგორიაში ანანო შეროზია და ანდრო სონგულია მესამე ადგილი. გამგეობის თასი გადაეცა ყველაზე ნორჩ მონაწილეს ანდრო სონგულიას.

2019 წლის 23-27 იანვარს სასპორტო ცენტრის კრივის გუნდი მონაწილეობას იღებდა ქ. გურჯაანში საქართველოს ჩემპიონატში კრივში